შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12 (9.676)

4 – 11 აპრილი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ქრისტეს აღდგომა არის ახალი სიცოცხლის დასაბამი და კაცობრიობის ორ ტირანზე - ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება. ქრისტემ თავისი მოწამებრივი აღსასრულით ჯვართან ერთად გოლგოთაზე კაცობრიობის ცოდვა ზიდა - უცოდველმა გამოისყიდა ცოდვილნი. პარასკევობით წითლად იღებება კვერცხი, რაც ქრისტეს მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა.

უდიდეს მწუხარებას უდიდესი სიხარული შეენაცვლა - ქრისტე ასღდგა!

ასეთივე რწმენით ეგებება ქართველი ერი ამ აღდგომასაც, ქვეყანაში მიმდინარე უამრავი სასიკეთო პროცესი უკეთესი ცხოვრების იმედს უღვივებს ჩვენს მოსახლეობას. განსაკუთრებით ეს ეხება კახეთის რეგიონს, სადაც მიმდინარე მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან ერთად მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული უამრავი პროექტი ხორციელდება და კიდევ ბევრის გაკეთება იგეგმება.

აღდგომა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია და სრულიად ქრისტიანული სამყარო მას რწმენით აღსავსე ელოდება. მარხვითა და სინანულით აღდგომას ზეიმით ვეგებებით, რომ სულიერი რწმენის გაძლიერებით ვიგრძნოთ ის დიდებული სულის ჰარმონია, რომელიც აღდგომის ღამეს გვეუფლება ჭეშმარიტ ქრისტიან მორწმუნეებს.

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

ირაკლი შიოლაშვილი,
კახეთის გუბერნატორი.

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო,

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ქრისტე აღსდგა!

აღდგომა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ყველაზე დიდი დღესასწაულია. ქართველმა კაცმა აღდგომა არა მარტო რელიგიურ, არამედ ეროვნულ დღესასწაულადაც აქცია. ის არა მარტო საყოველთაო განახლების სიმბოლოა, არამედ აღდგომა ეროვნული თვითშეგნების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა ქართველებისთვის.

დღეს იმედისა და განახლების დრო დგას საქართველოში. ხელისუფლების ცვლილებამ ბიძგი მისცა დედოფლისწყაროს გამოცოცხლებას, მუნიციპალიტეტში ბევრი რამ კეთდება როგორც ინფრასტრუქტურულ სფეროში,ასევე სოციალურ სექტორშიც: იგება გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა თითქმის ყველა საბავშვო ბაღს, შეიცვალა წყალგაყვანილობის სისტემა, დაიწყო ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ხელს უწყობს მომავალი თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსახლეობის დახმარების მიზნით უახლოეს მომავალში იგეგმება სოციალური პაკეტის გაზრდა... ეს ყველაფერი კი აღდგომის დღესასწაულივით იმედის მომცემია.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ეს ყველაზე დიდი, სიხარულისა და იმედის მომტანი დღეა - სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, სულიერი ამაღლების დღესასწაული. მაცხოვარი ამქვეყნიურ სისუსტეს ამარცხებს სიყვარულითა და სინათლით. ეს ნათელი ცხადყოფს, რომ სიყვარულია ყველაზე აღმატებული ამქვეყნიური ძალა; რომ სიცოცხლე ყოველთვის იმარჯვებს სიკვდილზე; რომ სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქრისტე აღსდგა!

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ქრისტე აღსდგა !!! -ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

თითქმის ორი ათასწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც იესო ქრისტე ,,განკაცნა და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა და აღდსგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა...“ მას შემდეგ ამ უდიდეს ქრისტიანულ მოვლენას კაცთა მოდგმა დიდი სიხარულით ეგებება.

მაცხოვარმა თავისი ამქვეყნიური ცხოვრების მოწამეობრივი აღსასრულით და ბრწყინვალე აღდგომით თვით სიკვდილი დაამარცხა და სიცოცხლის მარადიულობას დაუდო საფუძველი . ამიტომაცაა ეს სიკვდილის დამარცხებისა და კეთილის ბოროტზე გამარჯვების დღე.

დღიდან მაცხოვრის აღდგომისა, ჩვენი ერი ქრისტეს გზით აშენებს ქვეყანას. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია, ჩვენში ქრისტიანობა თვით მაცხოვრის მოციქულებმა იქადაგეს და არაერთი გადმოცემის თანახმად, ქართველ მეომართა მფარველი და წინამძღოლი სწორედ ქრისტეს მხედარი წმ. გიორგია. უფალთან ასეთი თანაზიარობა ჩვენს ერს დაცემისა და გაქრობის საშუალებას არასდროს მისცემს.

დღეს საქართველო იბრძვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, ეკონომიკური წინსვლისა და დემოკრატიის განვითარებისთვის. შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩვენს ქვეყანაში სიკეთე საბოლოოდ დაამარცხებს ბოროტებას.

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე! - კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ უდიდეს დღესასწაულს. უფალმა მოგვმადლოს სიკეთე და სათნოება. ღმერთმა მრავალს დაგასწროთ!!!

პატივისცემით,
ზვიად ჯავახიშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ვნების შვიდეული

ვნების კვირა დიდი მარხვის ბოლო, აღდგომისწინა კვირას ჰქვია. ეს კვირა (უფრო სწორად, 6 დღე) იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ. ეს გლოვის დღეებია და ღვთისმსახურებსაც ტაძარში სამგლოვიარო, შავი სამოსი აცვიათ.

მოსაგონებელი მოვლენების უდიდესი მნიშვნელობის გამო ვნების კვირის ყოველ დღეს დიდს ვუწოდებთ.

ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი იესო ქრისტეს მოწაფეებსა და ხალხთან უკანასკნელი საუბრების გახსენებას ეძღვნება. ამ დღეებში მსხვერპლშეწირვა არ ხდება და აღევლინება მხოლოდ პირველშეწირულ ძღვენთა ლიტურგია, რომელთა დროსაც სახარება სრულად იკითხება.

ვნების შვიდეულის ოთხშაბათიდან, პირველშეწირულის ლიტურგიის შემდეგ, წყდება მუხლთა დრეკა და დიდი მეტანიები. აღარ იკითხება ასევე ეფრემ ასურის ლოცვა „უფალო

და მეუფეო...“ და ფსალმუნთა კანონები. ფსალმუნების კითხვა განახლდება თომას კვირის მწუხრიდან.

დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ლეღვის გახმობას იხსენებს. ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა - იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა. ამიტომაც ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ლეღვი ასევე ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესიაც დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს.

ლიტურგიაზე წასაკითხი სახარებით წმინდა ეკლესია ღვთისაგან გამდგომილი იუდეველების ბედსა და იესო ქრისტეს მიერ აღწერილ სამყაროს აღსასრულს გვახსენებს. დიდ და მრავალრიცოვან განსაცდელთა, იერუსალიმის დანგრევისა და სამყაროს აღსასრულის ნიშნების აღწერით ეკლესია მორწმუნეებს ამქვეყნიურ ბოროტებაზე

(გაგრძელება გვ.3)

„მე ჩემი შვილი სხვანაირი ვერც წარმომიდგენია“...

აღდგომა და ქართული ტრადიციები

გვ.7

ნაღვაწის დაფასება და სტიმული ახალგაზრდებს

ეროვნული საქმის სამსახურში

C M Y K

2 აპრილს მსოფლიოში აუტიზმის დღეს აღნიშნავენ

„მე ჩემი შვილი სხვანაირი ვერც წარმომიდგენია“...

2 აპრილს აუტიზმის დღეს აღნიშნავენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. 2007 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა. თავად ინიციატივა კი განპირობებული იყო აუტიზმის მაღალი სიხშირით, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ათობით მილიონ შემთხვევას უტოლდება.

აუტიზმი პირველად 50 წლის წინ იქნა აღმოჩენილი ამერიკელი მეცნიერის მიერ. საქართველოში 6 წლამდე ასაკის 3000-მდე აუტისტური სპექტრის აშლილობის(ასა-ს) მქონე ბავშვია, ანუ საერთო მოსახლეობის 1%, მათ უმრავლესობას კი ვაჟები წარმოადგენენ, სახეზეა ზრდის ტენდენცია. ასა-ს გამოვლენა ძირითადად 3 წლამდე ასაკში ხდება, ისინი გამოირჩევიან მეტყველების განვითარების შეფერხებით, ან სულ ვერ სწავლობენ ლაპარაკს ან გაცილებით გვიან იწყებენ, საუბრობენ მონოტონური ხმით, თითქოს სიმღერით, თავს მესამე პირში მოიხსენიებენ, არ რეაგირებენ სახელის დაძახებაზე, გაურბიან პირდაპირ მზერას, აქვთ მკაცრად შეზღუდული ინტერესები, უნარების არათანაბარი განვითარება და ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტენტობა.

დღეისათვის არსებული მონაცემებით, დროულად დასმული დიაგნოსტიკისა და ადრეული ჩარევის შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ბავშვის უნარშეზღუდულობის ხარისხი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში ყოველი 110 ბავშვიდან ერთს აუტიზმი აქვს, ხოლო ადრეულ ასაკში თავის ტვინის პლასტიურობა ბევრად მაღალია და რეაბილიტაციის დროულად დაწყებაც ბევრად მნიშვნელოვანი, ჩვენ მივმართეთ ჩვენი რაიონის ჯანდაცვის სფეროს შესაბამისი პროფილის მქონე ექიმებს, გვაინტერესებდა, თუ რამდენი ბავშვია დღესდღეობით ამ პრობლემით აღრიცხული, თუმცა, მათ ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ აღმოაჩნდათ. ამის მიუხედავად, ნამდვილად არ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ ჩვენი რაიონი განსაკუთრებული გამონაკლისია და ჩვენთან ამ პრობლემას ადგილი არ აქვს. ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როდესაც მშობელს არ სურს ხმამაღლა აღიარება და მომავალში „რაღაცის იმედით“ მიჩქმალვას ამჯობინებს. „რა გინდ რომე კაცმან მალოს ჭირი, თავსა არ დამალავსო“ და არ მალავს თავის გასაჭირს ჩვენი რესპოდენტი...

რედაქციას სტუმრად ეწვია ახალგაზრდა, სიმპატიური ქალბატონი, რომელიც ორი ვაჟის დედაა, მათ შორის ერთი მათგანი აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონეა.

მაკა, 33 წლის, პროფესიით იურისტი, დროებით უმუშევარი-მე, როგორც აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვის დედა, ვუერთდები და მივესალმები 2 აპრილის აქციას და არ ვთვლი, რომ ეს დაავადებაა, ვფიქრობ, რომ ესენი არიან განსხვავებული უნარებისა და ქცევების მქონე ბავშვები, რომლებიც მოითხოვენ ადექვატურ ყურადღებას. ყველა დამეთანხმება, რომ ეს რთული პროცესია და დიდ მოთმინებას მოითხოვს. ჯერ უნდა მშობელმა ბოლომდე გააცნობიეროს მისი და მისი შვილის მდგომარეობა და შემდეგ დაიწყოს ბრძოლა, რათა ადრეულ ასაკშივე მივაღწიოთ სასურველ შედეგებს. როდესაც მშობელი მიმართავს ბავშვის იზოლაციის სტრატეგიას, შეიძლება სავალალო შედეგი მივიღოთ, ბავშვს განვითარებისთვის არახელსაყრელი პირობები ექმნება, ამიტომ ინტერვენცია აუცილებელია. მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თხოვნით მივმართო მშობლებს, ვინც აღნიშნული პრობლემის წინაშეა, ნუ დამალავენ სიმართლეს, ისინი ამ რეალობას ადრე თუ გვიან მაინც ვერსად გაექცევიან, პირიქით, თამამად გაუსწორონ თვალი არსებულ მდგომარეობას და დროულად დაიწყონ მკურნალობის კურსი. დღეს აღარ არის დრო დამალვის, დღეს დროა სტიგმასთან ბრძოლის, მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლების და ერთმანეთის მხარში დგომისა, რომ ჩვენმა შვილებმა მომავალში შეძლონ სრულფასოვანი და დამოუკიდებელი ცხოვრება. მათე აგვისტოში 5 წლის გახდება, მას აუტიზმის სპექტრის აშლილობა 3 წლის ასაკში დაუდგინდა, მას შემდეგ დაუღალავად ვიბრძვით, ერთი წუთით არ დამიკარგავს რწმენა, რომ ჩემი შვილი მომავალში სრულფასოვან და დამოუკიდებელ ცხოვრებას შეძლებს. ჩემმა მონდომებამ დიდი შედეგი გამოიღო, ის დღეს უკვე ბაღში დადის და აქტიურად არის ჩართული საბავშვო ბაღის ცხოვრებაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საალმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს, რომელმაც ჩვენი პრობლემა გაითავისა და იმაზე ადრე აღმოგვიჩინა დახმარება, ვიდრე ველოდით. ჩემს შვილს დაუნიშნეს საბავშვო ბაღში შესაბამისი კვალიფიკაციის სპეც.პედაგოგი,რომელიც კვირაში სამჯერ უტარებს სპეციალურ მეცადინეობებს. ძალიან მადლიერი ვარ N2 საბავშვო ბაღის გამგის მანანა ტოკლიკიშვილის, რომლისგანაც სრულ მხარდაჭერას ვგრძნობ ყოველთვის.

ჩვენთვის ამჟამად საჭიროა მულტიდისციპლინალური მკურნალობა, რომელიც მოიცავს ABA თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის, ფსიქოლოგისა და მეტყველების თერაპევტის ერთობლივ მუშაობას,ამ ყველაფრისთვის კი გარკვეული თანხებია საჭირო, დღეისათვის ამის რესურსი არ გაგვაჩნია, არადა, ყოველი დღე დაგვიანებულია. ძალიან მიხარია ადამიანების ფსიქოლოგიური მზადყოფნა და მხარში დგომა, მაგრამ ამ ბავშვებისთვის რომ ხორციელდებოდეს სოციალური პროგრამები და ხდებოდეს მათთვის სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება, ჩვენი პრობლემები გადაჭრილად ჩაითვლებოდა. თუმცა, არ ვთვლი, რომ ჩემს შვილს რაიმე დაავადება აქვს, მე ის სხვანაირი ვერც წარმომიდგენია- ასე ოპტიმისტურად დაასრულა საუბარი ჩვენმა სტუმარმა, რომელიც წუთით არ კარგავს მომავლის იმედს და სჯერა, რომ მისი შვილი მომავალში აბსოლუტურად სრულფასოვნად შეძლებს ცხოვრებას.

ჩვენ ვუერთდებით მაკას განწყობას და გვჯერა, რომ მისი ბრძოლა და შრომა უკვალოდ არ ჩაივლის, სასურველი შედეგი აუცილებლად დადგება!

P.S. მასალის წერისას ჩვენ დავუკავშირდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ ბავშვის პრობლემას გაითვალისწინებს და მისი მკურნალობის ხარჯებს ნაწილობრივ გამგეობა დააფინანსებს. ამის საშუალებას კი მას უახლოეს მომავალში გაზრდილი სოციალური პაკეტი მისცემს.

მაელზა ხარაშვილი

„ხშირად ადამიანები არიან ჩემი შთაგონების წყარო“...

სამების ტაძარში მოქმედ საპატრიარქოს ახალგაზრდული განვითარების ცენტრში მირზაანელი თვითნასწავლი მხატვრის, ბელა ლობჟანიძის ნახატების გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე შესაძლებელი იყო ნახატების შეძენა. შემოსული თანხით ჯგუფ „ბანის“ წევრ გიგო ნიკოლაძეს გაუწევენ დახმარებას, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება.

გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი ახალგაზრდა მწერლები: ჯარჯი შუქიაური, ქეთევან ნათელაძე, შორენა ალაზნისპირელი, დეკა ნაყეური და ეკატერინე ბაზერაშვილი.

გამოფენა მწერალმა ჯარჯი შუქიაურმა გახსნა: „დრო ადამიანებზე უკეთ ამბობს სათქმელს, ბელა არამარტო თვითნასწავლი, არამედ გენიალური ნახატების ავტორია. საკმარისია ნახატებს ჩავწვდეთ, მის ნაშრომებში ჭარბობს რთული და ღრმა სასულიერო თემატიკა, ვგეგმავთ ბელას ნახატების არტ გალერეაში გადატანას, სადაც მეტი სივრცე იქნება. ეს ნახატები იმსახურებს ფართო პუბლიკას. როცა მხატვარი თავის ნამუშევრებს ყიდის, ეს უდიდესი სიქველეა, რამეთუ იწყვეტ სულის ძაფს და სრულიად უანგაროდ ეხმარები სხვას“.

ბელა ლობჟანიძე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში დაიბადა და გაიზარდა. შეგახსენებთ, 2013 წელს მისი პერსონალური გამოფენა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა.

გაზეთი „შირაქი“ შეეცადა გაერკვია, სოფელ მირზაანში ცხოვრებამ იქონია თუ არა გავლენა ახალგაზრდა მხატვარზე და რა გახდა მისი შთაგონების წყარო.

ბელა ლობჯანიძე: „ჩემი მეგობრების დაჟინებული თხოვნა იყო, რომ გამოფენა გამემართა. სოციალურ ქსელშიც ხშირად მწერენ და უცხო ადამიანებიც მეკითხებიან ხოლმე, სად შეიძლება ჩემი ნამუშევრების ნახვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გადავწყვიტე სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გამემართა. გამოფენა ერთ დღეს გაგრძელდა. მოკლე წრეში ჩატარდა, რადგან ბიძა გარდამეცვალა და ყველა მსურველის დაპატიჟება ვერ მოვასწარი, დროულად ვერ მოხერხდა დამთვალიერებლის ინფორმირება.

- რის მიხედვით შეარჩიე ნამუშევრები, რომლებიც ამჯერად სამების ტაძარში გამოიფინა?

- სამწუხაროდ, ყველა ნამუშევრის თავმოყრა და გამოფენა ვერ შევძელი. ძალიან დიდი ნაწილი გაჩუქებული მაქვს. ისევ დროის სიმცირის გამო ვერ მოვახერხე დავკავშირებოდი მათ და მომეგროვებინა. ამიტომ, ჩემი შემოქმედების მხოლოდ ნაწილი გამოიფინა.

- შენი შემოქმედების საწყის ეტაპზე გვიამბე, რა ასაკიდან დაინტერესდი ხატვით?

- პატარაობიდან ვხატავდი. ბავშვობაში, როდესაც თავისუფალი დრო მქონდა, მაშინვე კალამს ვიღებდი და ხატვას ვიწყებდი. უფრო სერიოზულად 20 წლის ასაკში დავიწყე ხატვა და ამაზე ფიქრი. მონდომებაც ამ ასაკიდან შევნიშნე, მანამდე იმდენად სერიოზულად არ ვუყურებდი ამ საკითხს. შემდეგ უფრო დედა მთხოვდა, რომ მეხატა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მუდმივად ასე იყო. ალბათ რაიმე პერსპექტივას ხედავდა. დედაჩემი ძალიან დიდ პატივს სცემს მხატვრობას და ზოგადად ხელოვნებას. გამუდმებით მეუბნებოდა, რომ მეხატა. ერთ დღესაც, 20 წლის ასაკში ფუნჯები და საღებავები შემოიძინა და მთხოვა, რამე დამეხატა. შემდეგ დააკონკრეტა, რომ გოგონა დამეხატა. შევეცადე, მაგრამ ძალიან არაამქვეყნიური ნახატი გამომივიდა, საერთოდ არ ჰგავდა და გული დამწყდა. ამ პერიოდში არ ვიცოდი, სახის ფერი როგორ უნდა გამომეყვანა და იმედგაცრუება მქონდა. სხვათაშორის დედაჩემს მას შემდეგ აღარ უთქვამს, რომ რაიმე დამეხატა. მაგრამ გავიდა დრო და პრომეთეს ნახატი ვნახე ერთ-ერთ წიგნში, რომელიც ძალიან გულში ჩამრჩა. იმდენად დიდი სურვილი გამიჩინა, მისი გადახატვა ვცადე. ჩემდა საბედნიეროდ, გამიმართლა და ამჯერად კარგად გამოვიდა. ამიტომ, ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სულ მინდა დამწყებ მხატვრებს ვურჩიო, რომ აუცილებლად წაადგებათ, თუ ხშირად დააკვირდებიან სხვა მხატვრების ნამუშევრებს და მათი ხატვის ტაქტიკას. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მე წინსვლაში ეს მომენტი ძალიან დამეხმარა. პირველი ნამუშევრებიც შემონახული მაქვს, ბევრიც ჩემს მეგობრებთან ინახება. ბევრი მათგანი აღარ მახსოვდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხატვას სერიოზულად მივყავი ხელი, გამოაჩინეს ჩემმა მეგობრებმა. თავდაპირველად იმდენად კარგი ნამუშევრები არ გამომდიოდა, როგორიც მინდოდა, მაგრამ იმედს არ ვკარგავდი.

დიზაინის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ოღონდ ძალიან მცირე ხნით, მხოლოდ ერთი სემესტრი გავატარე და სწავლის გაგრძელება ვეღარ მოვახერხე. როდესაც იქ ვხატავდით, პედაგოგებს მუდმივად ვაკვირვებდი. მათ ჰქონდათ განცდა, რომ მე განათლება უკვე მიღებული მქონდა, როცა ვამბობდი, რომ არსად მისწავლია, გაოცებულნი რჩებოდნენ. არადა, სახის ნაკვთების გამოყვანა და ფერის დასმა ნახატის გადახატვის დროს ვისწავლე. ტექნიკა ან რაიმე ტაქტიკა ჩემთვის არავის აუხსნია. ჩემით მოვიძიე გარკვეული ლიტერატურა და ვიდეო რგოლები, რომლებიც განვითარებაში დამეხმარა. ასევე მიმაჩნია, რომ პირადად მე ძალიან ბევრი რამ შემძინა სხვა მხატვრების ნამუშევრებზე დაკვირვებამ. მთელი ინტერესით ვათვალიერებ ხოლმე და ეს მიადვილებს ხატვას.

- ნათესაობაში თუ გყავთ მხატვარი, ვისი გავლენაა...

- მხატვარი რომ ყოფილიყო, ისეთი არავინ მყოლია, მაგრამ ბებიაჩემი ძალიან ხელმარჯვე ქალი იყო. ბევრი რამ ეხერხებოდა და ხელსაქმე ძალიან უყვარდა. მამაჩემიც ასეთია, მაგრამ ალბათ უფრო ბებიას დავემსგავსე. ის კარგად ქარგავდა, კერავდა...

- რა განცდაა, როდესაც ფიროსმანის სოფელში დაიბადე და გაიზარდე...

- რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან საპატიოა ეს ფაქტი. ბედნიერი ვარ ამის გამო და მიხარია, რომ მეც ხატვის მიმართულებით გავაგრძელე ცხოვრება. ბავშვობაში ძალიან ხშირად ჩავდიოდი ფიროსმანის ეზოში, მის ნამუშევრებს ვათვალიერებდი და არ ვიღლებოდი. შემეძლო მთელი დღე ასე გამეყვანა და არ მბეზრდებოდა.

- ნიკალას ეზო მართლაც შთამბეჭდავია, საინტერესოა რა იყო შენი შთაგონების წყარო?

- ჩემი შთაგონების წყარო მხოლოდ ფიროსმანის ეზო კი არა, ნებისმიერ მომენტში ნებისმიერი

(გაგრძელება გვ.8)

ვნების შვიდეული

(პირველი გვერდიდან)

ამაღლებისკენ, სულგრძელობისკენ, სიმშვიდისკენ, მოთმინებისკენ, ლოცვისა და სულიერი სიფხიზლისკენ მოუწოდებს და მაცხოვრის მიერ სახარების მთელ ქვეყენაზე გავრცელებისა და რჩეულთა გულისთვის განსაცდელთა შეწყვეტის აღთქმით ანუგეშებს (მთ. 24,14-22).

დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებიკენ, განსაკუთრებით კი - მოწყალებისკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის; როცა გვეუბნება: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მთ. 25,40).

დიდი ოთხშაბათი

ეს იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა.

ოთხშაბათის ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფლველად მოამზადა.

აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკრიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს იმ დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარებას და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდ ოთხშაბათს წყდება დიდი მეტანიები, რომელთაც ეფრემ ასურის ლოცვის: „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო...“ - დროს ვასრულებთ. ამის შემდეგ, პარასკევამდე, ამ ლოცვას მხოლოდ მონაზვნები ასრულებენ სენაკებში. ამგვარად, ეფრემ ასურის ლოცვა ყველიერის კვირის ოთხშაბათს იწყება და ვნების კვირის ოთხშაბათს სრულდება.

დიდი ხუთშაბათი

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას ვიხსენებთ. აღესრულება ბასილი დიდის წირვა, რომელიც სერობას იმის სამახსოვროდ უერთდება, რომ უფალმა ზიარების საიდუმლო სწორედ ამ დღეს, სერობის ჟამს, დაადგინა. სერობაზე „რომელთა ქერუბიმთას“ ნაცვლად იგალობება: „სერობასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო, ზიარებად შემიწყნარე“... სერობაზე მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები ფერხთბანის რიტუალს ატარებენ: როგორც მაცხოვარმა დაბანა ფეხები სერობის დაწყებამდე თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბას ფეხებს მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს.

დიდი ხუთშაბათი იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრების კურთხევისას გამოიყენება).

დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე.წ. „თორმეტი სახარება“ ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, დაწყებული მოწაფეებთან მისი უკანასკნელი საუბრიდან საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფლვით და მისი საფლავისთვის მცველების მიჩენით. „თორმეტი სახარების“ კითხვისას მორწმუნენი ანთებული სანთლებით ხელში დგანან, რაც ერთი მხრივ, ჩვენი მხსნელის მიმართ მხურვალე სიყვარულის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი იმის ხსოვნა, რომ მაცხოვარს ღვთიური დიდება ვნების დროსაც არ დაუკარგავს. ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოჰკრავს, რიგით მერამდენე სახარებაც იკითხება.

აი, რომელი „სახარებები“ იკითხება ამ მსახურების დროს:

პირველი - იოანეს სახარება 13:31 - 18:1
მეორე - იოანეს სახარება 18:1-28
მესამე - მათეს სახარება 26:57-75
მეოთხე - იოანეს სახარება 18:28 - 19:16
მეხუთე - მათეს სახარება 27:3-32
მეექვსე - მარკოზის სახარება 15:16-32
მეშვიდე - მათეს სახარება 27:33-54
მერვე - ლუკას სახარება 23:32-49
მეცხრე - იოანეს სახარება 19:25-37
მეათე - მარკოზის სახარება 15:43-47
მეთერთმეტე - იოანეს სახარება 19:39-42
მეთორმეტე - მათეს სახარება 27:62-66

მერვე სახარების შემდეგ იკითხება კანონი და იგალობება საგალობელი, რომელშიც ასახულია ის ეპიზოდი, როდესაც იესო ქრისტემ მის გვერდით ჯვარცმულ ავაზაკს შეუნდო, რადგან ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ შეინანა. ეს საგალობელი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სრულდება.

თორმეტი სახარების მსახურების დასრულების შემდეგ მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჯვარცმასთან მიდიან, დიდი მეტანიის გაკეთებით ეამბორებიან და ტაძარს ტოვებენ. არსებობს ძველი ტრადიცია, რომლის თანახმადაც სანთელი, რომელიც თორმეტი სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავიღოთ სახლში და შესასვლელი კარის თავზე სანთლის ალისგან წარმოქმნილი კვამლით ჯვარი გამოვსახოთ. ამისთვის, რა თქმა უნდა, რაიმე ლამპარი უნდა მოვამზადოთ, რათა სანთლის შინ ჩაუქრობლად მიტანა შევძლოთ.

დიდი პარასკევი

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვარიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღესრულება, რადგან ამ დღეს ცოდვებისგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფეო ჟამნი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვნების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, შუადღიასას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი - „საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილზე, რომელზეც საფლავში მყოფი მაცხოვარია ამოქარგული, დაბრძანებენ გარდამოხსნას.

საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს. სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ლოცვის გალობისას შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსხური აკმევს გარდამოხსნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, „მამაო ჩვემოს“ გალობის შემდეგ კი ტროპარის „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი...“ გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხეველიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ და „საფლავში“ დაასვენებენ. ამის შემდეგ სამღვდელოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება - მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

სერობის შემდეგ, საღამოს, შესაძლოა მწუხრიც, ე.წ. „ღვთისმშობლის გოდებაც“ აღევლინოს.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი პურსა და წყალზეა.

ძველი ტრადიციის თანახმად, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება საღდგომო კვერცხები. კვერცხი ქრისტიანული ტრადიციით ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფრად შეღებილ კვერცხს ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.

დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკცდრეთით აღდგომას ეძღვნება. ცისკარზე მღვდელმსახურები „წმინდაო ღმერთოს“ გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლას იმყოფება მამა ღმერთთან და რომ თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი. ამ დროს იგალობება „მშვენიერმან იოსებ...“

იმ დროს, როცა გარდამოხსნას ისევ ტაძრის შუაგულში დაასვენებენ, ითქმება ეკტენია და იკითხება საწინასწარმეტყველო ეზეკიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგომის შესახებ; სამოციქულო, რომელიც გვასწავლის, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი აღდგომაა ყოველი ჩვენგანის სულისთვის; სახარება, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დააყენეს მცველები პილატეს თანხმობით მაცხოვრის საფლავთან, შესასვლელი ლოდით ჩარაზეს და ზედ ბეჭედი დაასვეს.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება მართლმადიდებლური ლიტურგიული ტრადიციის მწვერვალია. ეს არაა იესო ქრისტეს სიკვდილისა და დასაფლავების ისტორიული მოვლენების დრამატული გათამაშება ან სახარებისეული რიტუალური დადგმა. ეს ღვთისმსახურება ღრმა სულიერი წვდომაა მაცხოვრის იმ ქმედების მარადიულ არსში, რომლითაც მან კაცობრიობა იხსნა.

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია ანუ წირვა ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურობს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

მცირე შესავლისა და „ნათელი მხიარულის“ გალობის შემდეგ იკითხება 15 საწინასწარმეტყველო საკითხავი ძველი აღთქმიდან. ყოველ მათგანში ნაწინასწარმეტყველევია ღვთის მიერ სამყაროს ხსნა, რაც აღთქმული მესიის მოსვლით აღსრულდა.

სამყაროს შექმნისა (შესაქმეთა წიგნიდან) და ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლის შესახებ (გამოსვლათა წიგნიდან) საკითხავებთან ერთად იკითხება ნაწყვეტი ესაია, ეზეკიელ, იერემია, დანიელ და სოფონია წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მესიის ვნების, აღდგომისა და ამ გზით კაცობრიობის ხსნის შესახებ.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდელოების სამგლოვიარო შესამოსელი სადღესასწაულოთი იცვლება. ასევე იცვლება მთელ ტაძარში შავი ფერები ნათელით. ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლე დედებმა ადრიანი დილით, ჯერ კიდევ სიბნელეში, მაცხოვრის საფლავზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს ხარებს იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

სადღესასწაულოდ შემოსილი დიაკვანი, როგორც ანგელოზი, გამოდის ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნის წინ, და სახარების კითხვით ხალხს მაცხოვრის აღდგომას ამცნობს. ამის შემდეგ წირვა ჩვეულებრივ გრძელდება, ოღონდ „ღირს არსის“ ნაცვლად იგალობება „ნუ მტირ მე, დედაო...“.

წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ღამის თორმეტ საათამდე აღესრულება შუაღამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაჰყო ამქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება. აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულისა, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“ (იოანე 16,12).

ნაღვაწის დაფასება და სტიმული ახალგაზრდებს

25 მარტს, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში თბილისის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. აქ იყვნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მხატვრები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწენი და უბრალო ადამიანები, მონვეული სტუმრები, ვისაც ეს დღე ნამდვილად უხაროდა. შეხვედრას, რომელიც ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, ერთი მიზეზი ჰქონდა, შედგა დაჯილდოვების ცერემონია, სადაც რამდენიმე თვის წინ, გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი ღვაწლმოსილი და ახალგაზრდა პროფესიონალები დაჯილდოვდნენ.

მიმდინარე წლის დასაწყისში გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ სარედაქციო საბჭომ და ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, გამოავლინა ცნობილი ადამიანები ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში „საუკუნის ლეგენდა“, სადაც გამარჯვებულად დასახელდნენ: ვოკალისტი **მედეა ამირანაშვილი**, მუსიკათმცოდნე **მანანა ახმეტელი**, მომღერალი **ნანი ბრეგვაძე**, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში **ნონა გაფრინდაშვილი**, ჟურნალისტი, გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი **ნაირა გორაშვილი** და კვლავ ჩვენი თანამემამულე, ინდმეწარმე **თამარ მოძღვრიშვილი**. ხოლო, ნომინაციაში „**ახალგაზრდა პროფესიონალი**“, დასახელდნენ: მხატვრები: **ანა ხარაშვილი** და **დეიკო ალუღიშვილი**, ჟურნალისტი, შპს „შირაქის“ დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**, ფერმერები: **ზურაბ** და **ზვიად ბიკაშვილები**, ფერმწერები და მოქანდაკეები ძმები: **ლაშა, გიორგი** და **კახა კუხალაშვილები**, კონსერვატორიის ვოკალისტი **დოდო დიასამიძე**.

დაჯილდოების ცერემონია მიჰყავდათ ჩვენი კუთხის საამაყო პოეტს და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ქალბატონ **მაყვალა გონაშვილს** და საოპერო მომღერალს **ელდარ გეწაძეს.** ქალბატონმა მაყვალამ თითოეული ნომინანტის დასახელების დროს ისაუბრა მათ ღვაწლსა და ღირსებაზე, მათ მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე. თითოეული ნომინანტის წარდგენას დარბაზი ტაშით და ოვაციებით ხვდებოდა, რაც პირდაპირ მიანიშნებდა იმას, რომ დაჯილდოვებული პიროვნებები მართლაც სამაგალითონი, გამორჩეულნი, თავიანთი საქმის პროფესიონალი და მისაბაძი ადამიანები არიან.

ღირსეული დედ-მამის შვილია ქალბატონი მედეა ამირანაშვილი, დედა -ფენომენალური ხმის მფლობელი, სახელგანთქმული მეცო-სოპრანო ნადეჟდა ცომაია, მამა-სწორუპოვარი ბარიტონი-ვირტუოზი პეტრე ამირანაშვილი. ცოტაა ქვეყნად მამა-შვილის ასეთი ტანდემი: ორი უბრწყინვალესი ვარსკვლავი ათეული წლები იდგა საოპერო სცენაზე და უკვდავ სახეებს ქმნიდა. მედეა ამირანაშვილის სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ვოკალური ხელოვნების ისტორიაში.

ნანი ბრეგვაძეს წარდგენა არ სჭირდება, მისი გამორჩეული ხმა, შესრულების დახვეწილი მანერა და გრაციოზულობა განუმეორებელია. მან ასახელა ქართული ესტრადა და გაიტანა მისი სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთ, მისი მოღვაწეობა „ორერაში“ , სოლო კონცერტები, მისი „თბილისო“ და „ვაზის საგალობელი“ საქართველოს და ქართველების სავიზიტო ბარათად იქცა.

ასეთივე ცნობილია ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ქართველი ერის სიამაყეა. ხუთგზის შეაზანზარა მსოფლიო მისმა ნიჭმა, ხუთჯერ აგვავსო სიამაყით და აღგვაფრთოვანა. და არა მხოლოდ ხუთჯერ, უამრავი ოლიმპიადის გამარჯვებული, ნლების განმავლობაში ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის დროსაც, ქვეყნის გაჭირვების მიუხედავად, უამრავ გამარჯვებას მიაღწიეს ქართველმა სპორტსმენებმა.

მანანა ახმეტელი -დიდი სანდრო ახმეტელის ღირსეული შვილიშვილი, ადამიანი, რომელიც თავისი უტყუარი ნიჭიერებით ემსახურება ქართული მუსიკის განვითარებას. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია და ნაშრომი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების გზაზე. ის ხმალამოღებული იბრძოდა სამუსიკო სკოლების გადარჩენისთვის იმ გაუსაძლის ოთხმოცდაათიან წლებში და მიზანსაც აღწევდა.

ნომინანტების დაჯილდოვების შემდეგ ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზი კლასიკური მუსიკის ჰანგებით აივსო. მაყურებლებმა მოისმინეს საოპერო მომღერლების მიერ შესრულებული არიები. კონცერტი თავად ელდარ გეწაძემ გახსნა არიით. „ქალაუ, შენი თვალები“ თითოეული საოპერო მომღერლის გამოსვლა იმდენად შთამბეჭდავი და ამაღელვებელი გახლდათ, რომ მაყურებლის ოვაციები დიდხანს არ წყდებოდა. იმღერეს ლევან მაკარიძემ, გიორგი გუგუნავამ, ოთო შიშილაშვილმა, გიორგი ნამალაშვილმა, ჩვენი სასიქადულო შვილის, დიდი ლადო ათანელიშვილის ვაჟმა, ილია ათანელიშვილმა, ალეკო დეკანოიძემ, მარიამ გოგოჭურმა, გივი გიგინეიშვილმა, მედეა ამირანაშვილის ქალიშვილმა მარინე ფარულავამ, ნუცა ზაქაიძემ, ალუდა თოდუამ, ზაზა გოგუამ და ფილიპე ღაჭავამ. გალა კონცერტში სპეციალური მოწვევით გახლდათ ანსამბლ „რუსთავის „ სოლისტი დავით გველესიანი, რომელმაც მედეა ამირანაშვილს მიუძღვნა ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბალმასკარადიდან“ რეკიტატოს არია, ხოლო ყველა ნომინანტს ქართული სიმღერის საგანძურიდან „ურმული“ უმღერა.

სიტყვით გამოვიდა „საუკუნის ლეგენდის“ ნომინაციაში გამარჯვებული გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი **ნაირა გორაშვილი:** -„ძვირფასო მეგობრებო, მოგესალმებით, უზომოდ ბედნიერი ვარ დღეს თქვენს წინაშე რომ ვდგავარ და ისეთი თვალსაჩინო, წარმატებული და ცნობილი ადამიანების გვერდით დამასახელეს, როგორებიც არიან ნონა, ნანი, მედეა, მანანა. მათ სახელებს გვარის მინიშნებაც კი არ სჭირდება, მათი წარმატების და საქმიანობის შესახებ მთელმა საქართველომ(და არა მარტო საქართველომ) იცის. ჩვენ მათ ძალიან ხშირად ტელეეკრანზე ვუყურებთ და ვუსმენთ, ინტერვიუებში ვკითხულობთ მათი ცხოვრების დეტალებს, მაგრამ ვინ ვართ ჩვენ, რაიონიდან ჩამოსული ადამიანები, რა გავაკეთეთ და რას ვაკეთებთ, რომ საზოგადოებამ მათ გვერდზე ყოფნის ღირსად ჩაგვთვალა?! თავს უფლებას ვაძლევ, რამდენიმე წუთით მივიპყრო თქვენი ყურადღება და თითოეული მათგანი წარმოვადგინოთ: - მე 71 წლის ქალბატონი გახლავართ, 54 წლის უწყვეტი შრომითი სტაჟი მაქვს. აქედან 10 წელი პედაგოგიური, ხოლო 44 წელი გაზეთ შირაქის“ რედაქციაში გავატარე. 24 წელია, რედაქტორი ვარ იმ გაზეთის, რომელიც 78 წელია შეუწყვეტლად გამოდის. უამრავი წინააღმდეგობა გადავლახეთ, თავდადებით ვიბრძოლეთ, რომ იმ სიბნელისა და სიცივის წლებშიც კი გაზეთს ფუნქციონირება არ შეეწყვიტა. პარალელურად ვეწევი საოჯახო და სამეურნეო საქმიანობას. ამ ხნის მანძილზე მივიღე მრავალი ჯილდო, მათ შორის ჟურნალისტთა ფედერაციის წარდგინებით დამაჯილდოვეს „ღირსების მედლით“, ვარ ჟურნალისტთა ფედერაციის პრემიის ლაურეატი, გავიმარჯვე ნომინაციებში „წლის საუკეთესო ჟურნალისტი“, „წლის საუკეთესო ხელმძღვანელი ქალი” და „წლის მეცენატი“. ჩემი ცხოვრების და საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს წიგნი „პროფესიაში გამარჯვებულნი“. დღეს კი თქვენს წინაშე ვდგავარ, როგორც ნომინანტი „საუკუნის ლეგენდა“ და ვარ ძალიან ბედნიერი. მადლობა ყველას, ვინც ხმა მისცა ჩემს კანდიდატურას, მადლობა დღევანდელი დღის ორგანიზატორებს, მადლობა ყველა ხელოვანს, ვინც ეს დღე გამორჩეულად გაგვილამაზა.

წარმოგიდგენთ „საუკუნის ლეგენდის“ მეორე ნომინანტს დედოფლისწყაროდან. ეს ქალბატონი **თამარ მოძღვრიშვილი-მოდებაძისაა.** მისი და მისი ოჯახის საქმიანობას თავის თავზე სასიკეთოდ არა მხოლოდ დედოფლისწყაროელები, არამედ დედაქალაქის მცხოვრებნიც გრძნობენ. ქალბატონი თამარი ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში დაიბადა 1953 წელს. წარმატებით დამთავრა სამუალო სკოლა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. წლები მუშაობდა პედაგოგად სკოლაში და სოფელ ჯაფარიძის პროფტექნიკუმში, მერე ცხოვრებამ მოითხოვა და იგი საოჯახო ბიზნესსაქმიანობაში ჩაერთო მეუღლესთან ზეინალ მოდებაძესთან ერთად. მათი რძის საწარმო ათეული წლებია, უძლებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ კატაკლიზმებს, იცავს პროფესიონალურ ეთიკას და ნორმებს. ამიტომ არის მათ მიერ წარმოებული პროდუქცია მონონებით რომ სარგებლობს როგორც დედოფლისწყაროში, ასევე დედაქალაქში. მათ საამქროში სისტემატურად 12-15 ადამიანი ჰყავთ დასაქმებული, 70 რძის ჩამბარებელი ჰყავთ და ამით 80-ზე მეტ ოჯახს ეკონომიურად უზრუნველჰყოფენ. ორი ვაჟი და 8 შვილიშვილი მათი დიდი ოჯახის სიხარული და ბედნიერებაა. სწორედ ქალბატონი თამარისნაირი ადამიანები ჰქმნიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, რომელსაც დღეს განუზომლად უჭირს და თითოეულ თეთრს, შეტანილს სახელმწიფო ბიუჯეტში, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მიმაჩნია, რომ თამარ მოძღვრიშვილი ჭეშმარიტად ღირსეულად დგას „საუკუნის ლეგენდებს“ შორის.

ნომინაციაში, **„ახალგაზრდა პრიფესიონალი“** ჩვენი რაიონიდან დასახელდნენ **ინგა შიოლაშვილი და ძმები ზურაბ და ზვიად ბიკაშვილები.**

ინგა შიოლაშვილი შპს „შირაქის“ დირექტორია. იგი 19 წელია, გაზეთ „შირაქის“ წამყვანი ჟურნალისტია. ინგა უნივერსიტეტელია და პროფესიით ფილოსოფოსი გახლავთ. იგი პერიოდულად იკავებდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში. იყო რეგიონული მედიის კორესპონდენტი. არის ნიჭიერი, განსწავლული და პროგრესიულად მოაზროვნე სპეციალისტი. ახალგაზრდობის მიუხედავად, მისი ვიზუალური მხარის გათვალისწინებით, რამდენადაც გინდა დაუჯერებელი იყოს, იგი წლინახევრის დემეტრეს ბებიაა.

ძმები ზურაბ და ზვიად ბიკაშვილები კარგი ოჯახიშვილები, კარგად აღზრდილი ახალგაზრდები არიან. მათ მშობლებს პედიატრ მედეა კვარაცხელიას და ფერმერ ქართლოს ბიკაშვილს მთელი რაიონი იცნობს, პატივს სცემს და აფასებს.

ზურაბი პროფესიით იურისტია, მრავალი წელი გაატარა სამართალდამცავ სისტემაში. იყო გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე, პროკურორი ზვიადი ეკონომისტია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა. დასაქმებული იყო საჯარო სამსახურში: საგარეო საქმეთა სამინისტროში ატაშედ მუშაობდა, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ, ორივე ძმამ მიატოვა თბილი და რბილი სავრძლები, კომფორტი და მამის დაწყებული საქმე გააგრძელეს. ისინი დღეს წარმატებული ფერმერები არიან: ხნავენ, თესავენ, უვლიან და ამრავლებენ ცხვარ-ძროხას. შრომობენ, თავის ოჯახებს და შვილებს არაფერს უჭირვებენ და სხვა ადამიანებსაც ასაქმებენ. ამით ისინი მხარში უდგანან ქვეყანის ძლიერებას. ეს პატარა საქმე არ გახლავთ.

დედოფლისწყაროდან არიან წარმოშობით ჩვენი პერსპექტიული ახალგაზრდები მხატვრები **ანა ხარაშვილი და დეიკო ალუღიშვილი**. ანა აბრამ და ელიკო ხარაშვილების შვილიშვილი გახლავთ, ხოლო დეიკო – ჯიმი და ლალი ალუღიშვილების შვილიშვილი. ვუსურვებთ მათ წარმატებებს. ძვირფასო მეგობრებო ამით მე ჩემი რაიონის ნომინანტები ახლოს გაგაცანით, მათი შრომის ფასის განსაზღვრა კი, თქვენთვის მომინდვია,“ - აღნიშნა თავის გამოსვლაში ქალბატონმა ნაირა გორაშვილმა. მის გამოსვლას ოვაციები მოჰყვა, რაც იმის დასტური იყო, რომ ქვეყნის ძლიერება არა მხოლოდ დედაქალაქის, არამედ რეგიონების მხრებზეც დგას.

ნომინანტებს მიესალმა და სიტყვით მიმართა ხელოვნებათმცოდნემ და ტელეწამყვანმა, მსახიობმა **ერეკლე საღლიანმა**. შთამბეჭდავი იყო **ძმები კუხალაშვილების** დაჯილდოვების ცერემონიალი, როცა სამი ერთი-ერთმანეთზე მშვენიერი, ნამდვილი ინტელიგენტი ვაჟკაცი წარსდგა საზოგადოების წინაშე.

ნომინანტმა **დოდო დიასამიძემ** მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს ასეთი სასიამოვნო დღის ჩუქებისთვის.

საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარემ ვახუშტი ქიზიყურაშვილმა ნომინანტებს გადასცა სიგელები და აღნიშნა, რომ თითოეული ნომინანტი არის ღირსეული ატაროს ეს წოდება, რომ საქართველოში ქვეყნის სამსახურში მყოფი ადამიანების დაფასების დრო დადგა. ეს არის ნაღვაწის დაფასება და სტიმული ახალგაზრდებისთვის. ამ ძნელბედობის ჟამს ქვეყანას სწორედ ასეთი დღეები სჭირდება.

ნომინანტებმა მადლობა გადაიხადეს მათი შრომის მაღალ რანგში შეფასებისთვის და ასეთი ლამაზი საღამოს ორგანიზებისთვის.

ნანი ბრეგვაძე – „თავს ცოტა შეუძლოდ ვგრძნობდი და ერთხანობა წამოსვლა გადავიფიქრე, მაგრამ არ შევცდი, რომ მოვედი და დღეს თქვენს შორის ვარ. ძალიან კმაყოფილი ვარ და მიხარია.“

ნონა გაფრინდაშვილი - „ცხოვრების მანძილზე უამრავი ჯილდო მიმიღია, მაგრამ ამ დღემ კიდევ ერთხელ მაჩუქა ბედნიერება, ჯილდო, როგორი კუთხითაც არ უნდა იყოს იგი, გახარებს და ბედნიერებას გაჩუქნის, მე დღეს ნამდვილად გახარებული ვარ, ეს დღე თავს შემახსენებს, რომ მე ჯერ კიდევ ვუყვარვარ და ვახსოვარ ხალხს. მეამაყება ეს ჯილდო, რადგან ის ჩემი ხალხის გამოკითხვის შედეგია და ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემი მხრიდან, რაც გამოცდილება მაქვს ყველა ახალგაზრდას, პატარა შვილების მშობლებს მოვუწოდებ, რომ მიაქციონ ყურადღება და დააკვირდნენ მათ მონაცემებს, რა უყვარს, რის ნიჭი აქვს მის შვილს და შემდეგ ის ნიჭი განავითარონ, ის აუცილებლად მიაღწევს წარმატებას და იდგება იქ, სადაც უნდა იდგეს, რაც მთავარია, იქნება წარმატებული თავის სფეროში. არასოდეს დაივიწყოთ თქვენი ოჯახი, სამშობლო, ახლობელი ადამიანები და თავდაუზოგავი შრომა, რასაც აუცილებლად მოჰყვება წარმატება.“

ინგა შიოლაშვილი -„ ამაღლებული დღე იყო, მშვენიერი საღამო გამოვიდა, მიხარია, რომ მეც ამ ღონისძიების გმირი ვარ. მადლობა ორგანიზატორებს.“

მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მანანა ახმეტელმა** „საუკუნის ლეგენდის” ნომინანტთა სახელით მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს ამ ლამაზი საღამოს მოწყობისთვის.

„საუკუნის ლეგენდებს” საექსპორტო- საფირმო ღვინო **„საფერავი“** და **„ფიროსმანი“** გადასცა დედოფლისწყაროელმა **ვაჟა ოზაშვილმა**, რომელიც ამჟამად ქალაქ კასპის ღვინის ქარხანა „ოკამის“ დირექტორია.

დაჯილდოების და გალა კონცერტის იდეის ავტორი გახლდათ ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების თავმჯდომარე **ვანო ნატროშვილი,** რომლის ინიციატივითა და პატრონაჟით ჩატარდა ნიმინაციების გამოკითხვა, ხოლო ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ ამ ასოციაციის თავმჯდომრის მოადგილე **ნანა ჭიჭინაძე,** რომელმაც ცარიელი ხელებით და დიდი ენთუზიაზმით თავდაუზოგავი შრომა გასწია იმისთვის, რომ ეს დღე, ასეთი დიდებული საზოგადოებისთვის მართლაც არნახულ ზეიმად ექცია. და ეს შესანიშნავად გამოუვიდა კიდეც.

ნანა ჭიჭინაძე - „მინდა გითხრათ, რომ ადვილი არ არის გამოავლინო სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. ამას ბევრი დრო და დიდი შრომა სჭირდება. ზოგიერთს ჰგონია, დაასახელეს ვისაც გინდა და დამთავრდა. ისეთებიც არიან, თავად ხელმოცარულებს სხვისი წარმატება რომ შურთ, იბოღმებიან და ქილიკობენ, მაგრამ რა ვუყოთ, ეს მათი უფლებაა. მთავარია, რას ფიქრობს უმრავლესობა. უმრავლესობის აზრის გამოსავლენად კი ჩვენ ვატარებთ პირად და სატელეფონო გამოკითხვებს. საზოგადოებას თითო ნომინაციაში რამდენიმე კანდიდატურას ვთავაზობთ, ვაჯამებთ ხმათა რაოდენობას და ვავლენთ გამარჯვებულებს. ჩვენ, მწიგნობართა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ სარედაქციო საბჭო ყოველწლიურად სხვადასხვა ნომინაციებზე ვმუშაობთ, რაც ჩემი აზრით, დიდი დაფასება და სტიმულიცაა, როგორც ღვაწლმოსილი ადამიანებისთვის, ასევე ახალგაზრდებისთვის. დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველაფერმა საუკეთესოდ ჩაიარა და მღელვარებაც უკან დარჩა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს, რომელმაც ეროვნული ბიბლიოთეკის დიდი დარბაზი დიდსულოვნად დაგვითმო და ხელი შეგვიწყო ამ ლამაზი საღამოს მოწყობაში.

ღონისძიება სადილით დასრულდა, სადაც ნომინანტები და მათი გულშემატკივრები კიდევ უფრო ახლოს გაეცნენ ერთმანეთს და დაუახლოვდნენ, უამრავი სამახსოვრო ფოტო გადაიღეს და კვლავაც შეხვედრის სურვილით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ლალი მეხრიშვილი

ეროვნული საქმის სამსახურში

არაერთი ეროვნული საქმის ინიციატორი და წამომწყებია ჩვენი ქვეყნის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი ილია მეორე. მათ შორის არის პროექტი „ქართული გალობა და ხალხური სიმღერა." ამ პროექტის ფარგლებში, რომელიც 2010 წლიდან დაიწყო ბევრ რაიონში შეიქმნა ქართული ხალხური სიმღერის და გალობის სკოლა. ანალოგიური სკოლა 2014 წლის მაისში ჩვენს რაიონშიც ჩამოყალიბდა. სკოლის მიზანია ქართული ხალხური სიმღერის და გალობის შესწავლა მაღალ დონეზე. სწავლება ორწლიანია, რომლის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლეს სასწავლებელში. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას მიენიჭება ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის ლოტბარის წოდება.პროფესიონალი ლოტბარი კი, დღეს ნამდვილად, დეფიციტია. ისინი დაბრუნდებიან რაიონებში და სათავეში ჩაუდგებიან ქართული სიმღერის და საგალობლების გადარჩენის საშვილიშვილო საქმეს. ამჯერად დედოფლისწყაროს სკოლაში ოთხი ახალგაზრდა სწავლობს. სკოლასთან ფუნქციონირებს, აგრეთვე, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც ჯერ ერთი წლისაც არ არის, მაგრამ წარმატებები აქვს და თავისი სახელი დაიმკვიდრა საზოგადოებაში. რაიონში არ იმართება არც ერთი კულტურული ღონისძიება, სადაც ისინი არ მონაწილეობდნენ და მსმენელის ოვაციასა და მოწონებას არ იმსახურებდნენ. სულ რამდენიმე თვის ჩამოყალიბებული იყო ანსამბლი, როცა გასული წლის აგვისტოში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულ ფესტივალ „არტგენში" და დასკვნით ტურში სამიათასი მაყურებლის მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა. მათ მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო შემეცნებით პროექტ „ეტალონის" გახსნის ცერემონიალში, სადაც პირველები გამოვიდნენ დედოფლისწყაროელი მოსწავლეები. ამ დღეებში კი გუნდმა და მათმა ხელმძღვანელმა კიდევ ერთი წარმატება იზეიმეს. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების პირველ ეროვნულ კონკურსში, რომელიც ჩატარდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. ორგანიზატორები იყვნენ:საქართველოს საგუნდო საზოგადოება, ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონერვატორია და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. კონკურსი ჩატარდა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: აკადემიური სიმღერა, ქართული ხალხური სიმღერა და ქართული გალობა.

კონკურსის მიზნები და ამოცანები იყო: აკადემიური საგუნდო სიმღერის პოპულარიზაცია, ეროვნული სასიმღერო ტრადიციების დაცვა, ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მხარდაჭერა და განვითარება, საშემსრულებლო დონის ამაღლება, საქართველოს საგუნდო კოლექტივების მონიტორინგი, სამუშაო გამოცდილების და რეპერტუარის გაზიარება, შემოქმედებითი კავშირების დამყარება, საგუნდო შემსრულებლობაში ახალი სახელების აღმოჩენა, ახალგაზრდა, ნიჭიერი ქორმაისტერების წარმოჩენა და წახალისება, ქართველი კომპოზიტორების შემოქმედების პოპულარიზაცია. კონკურსში მონაწილეობასა და მიღწეულ შედეგებზე ვესაუბრებით დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი სკოლის დირექტორს სოფო მაჭარაშვილს:



- ჩვენი სკოლის ანსამბლი, რომლის შემადგენლობაშიც 32 ბავშვია, კონკურსში მონაწილეობდა ქართული ხალხური სიმღერის კატეგორიაში, კონკურსის დებულების მიხედვით უნდა შეგვესრულებინა ნებისმიერი ჟანრის ორი განსხვავებული ხასიათის ხალხური სიმღერა, წარვადგინეთ „გაფრინდი შავო მერცხალო" და „შარიშური"(მოდი აქ დაჯექ ქალო). კონკურსი ორ ტურად ტარდებოდა, წარმატებით გადავლახეთ პირველი ტური, რომელიც ლაგოდეხში ჩატარდა და გადავედით ფინალურ მეორე ტურში, რომელიც გაიმართა თბილისში. ანსამბლმა 14 პროფესიულ სასწავლებელს შორის 71 ქულით მესამე ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვართ, რადგან ჯერ მხოლოდ ათი თვეა, რაც მეცადინეობა დაიწყეს. დიდი მადლობა თითოეულ მონაწილეს და სოლისტებს ლევან ბენაშვილს სოფელ გამარჯვებიდან და ლაშა კობაიძეს, გიორგი მერაბიშვილს და გიორგი წიკლაურს არხილოსკალოდან, ამ ბავშვების სანაქებოდ უნდა ვთქვა, რომ ისინი მეცადინეობაზე სოფლებიდან დადიან და არცერთი გაცდენა არ აქვთ, მადლობა მათ ასეთი პასუხისმგებლობისა და ერთგულებისათვის. იმ წარმატებებში, რასაც ანსამბლი აღწევს, დიდი წვლილი მიუძღვის მის ხელმძღვანელს გელა გველუკაშვილს, რომელიც არა მხოლოდ კარგი პროფესიონალია, არამედ კარგი ორგანიზატორი და აღმზრდელიც. მჯერა, ბატონი გელას დამსახურებით, გუნდი კვლავაც არაერთ წარმატებას მიაღწევს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთის ფურცლებიდან სახალხოდ ვუთხრა მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ჩვენ ვგრძნობთ, როგორც ყოველდღიური მუშაობის რეჟიმში, ასევე ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზებისას. ჩვენც ვეცდებით, რაიონს იმედები არ გავუცრუოთ და ვიშრომოთ მეტი და მეტი წარმატების მისაღწევად.

ჩვენც ვულოცავთ თითოეულ მათგანს ამ წარმატებას და შემდგომ წინსვლას ვუსურვებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ისინი დიდსა და მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს ემსახურებიან.

ნაიარა გორაშვილი

ქართული პოეზიით ამეტყველებული არაქართველი მოსწავლეები

ამ დღეებში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლებმა ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, ვისთვისაც შემეცნება და ცოდნის მიღება მნიშვნელოვანია, კიდევ ერთი ლამაზი საღამო შემოგვთავაზეს. ღონისძიების იდეის ავტორი მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი ირმა ბენაშვილი და მოსწავლე-ახალგაზრდობის პედაგოგი თამარ ლაპიაშვილი გახლდათ. პედაგოგებმა ქართული პოეზიის მხატვრულად კითხვაში არაქართველეროვანი მოსწავლეები, გამოიწვიეს. ღონისძიებაში ძირითადად ჩვენი მუნიციპალიტეტის, კერძოდ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში რუსულენოვანი სექტორის ქართველი, რუსი, ბერძენი და სომეხი ეროვნების ბავშვები მონაწილეობდნენ. უნდა ითქვას, რომ ღონისძიებამ გაამართლა, რადგან მაღალი გახლდათ კონკურში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მონაწილე ბავშვი, რომელიც შემდეგში გამარჯვებული აღმოჩნდა, დაჟინებული თხოვნით, ბოლო წუთებში დარეგისტრირდა. ღონისძიება კონკურსის სახით წარიმართა, რომელსაც ჟიური აფასებდა. ჟიურის შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ნანული ნატროშვილი, ირმა ბენაშვილი, ამავე სკოლაში რუსული წრის პედაგოგი მაია გაგნიაშვილი და ორგანიზატორი თამარ ლაპიაშვილი. დაფიქსირდა ჟიურის ქულებიც. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ პედაგოგების ციალა გოგილაშვილის, ლალი მენთეშაშვილის და ვიოლეტა დავთიანის მოსწავლეები კარალინა ავაქიანი, დიანა ტორისიანი, ილოვა ჩერნოვა, ლევან ზოროღლიანი, დიანა არუთინოვა, ლიანა კარაპეტიანი, დავით ზოროღლიანი, ლელა გონაშვილი, მარი მაზმანოვი, ლელა შირინიანი, აბრამ ახალაური, დავით ნასრაშვილი, პეტრე პრიშჩევი და აბრამ ახალაური. თითოეული კონკურსანტი მოსწავლე საკმაოდ კარგად იყო მომზადებული. მათ წარმოგვიდგინეს მუხრან მაჭავარიანის, აკაკი წერეთლის, მირზა გელოვანის, გალაკტიონ ტაბიძის, ვაჟა-ფშაველას ლექსები.

პირველი ადგილი მოიპოვა ილონა ჩერნოვამ, მეორე პეტრე პრიშჩევმა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელად აბრამ ახალაური დასახელდა.

ღონისძიების დასასრულს სიტყვა წარმოთქვა და მადლობა გადაუხადა მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლებს პედაგოგმა ლალი მენთეშაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის ღონისძიება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში პირველად ჩატარდა და მან მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში. უტყუარია, ასეთი სახის შეხვედრები და კონკურსები ხელს შეუწყობს ქართული ენის პოპულარიზაციას არაქრთველი ეროვნების მოსწავლეებში და წაახალისებს მათ, რომ უკეთესი შედეგები მიიღონ ქართული ენის სწავლაში. წარმატებებს ვუსურვებთ პედაგოგებს და ბავშვებს, ხოლო მოსწავლე ახალგაზრდობის პედაგოგებისგან კიდევ უამრავი საინტერესო ღონისძიების მოლოდინი გვაქვს.

ლალი მეხრიშვილი

არასრულწლოვანთა ქორწინების პრევენცია -განათლებული საზოგადოება

რამდენიმე დღის წინ ვაშლოვანის ეროვნული პარკის დედოფლისწყაროს ოფისში არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ, რომლის შემადგენლობაში შედიან არასამთავრობო ორგანიზაციები „ვეჟინი“, „ნადიკვარი“ და „ფიროსმანი“, გამართა მრგვალი მაგიდა „ეთნიკური უმცირესობების თემებში არასრულწლოვანთა ქორწინების პრევენციის სტრატეგიის შემუშავების“ მიზნით. მრგვალი მაგიდა განხორციელდა პროექტის „გოგონათა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობისათვის კახეთის რეგიონში“ ფარგლებში. პროექტის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს გოგონათა ადექვატური ცოდნით აღჭურვას მათი რეპროდუქციული ჯანმრთერლობისა და სექსუალური უფლებების შესახებ, მოსახლეობის ცნობიწრების ამაღლებას ადრეული ქორწინებით გამოწვეული პრობლემებისა და ქორწინების სამართლებლივ რეგულაციებს, არასრულწლოვანთა ქორწინების პრევენციას.

პროექტი დაფინანსებულია „ქალთა ფონდი საქართველოში“ მიერ. ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით მრგვალ მაგიდასთან მოწვეულ მონაწილეებს კოალიციაში გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესაუბრნენ. შეკრება მიჰყავდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიროსმანის“ თავმჯდომარეს ნელი გობეჯიშვილს.

კოალიციის წევრთა და მონაწილეთა ურთიერთგაცნობის შემდეგ პროექტის არსსა და მიზნებზე ისაუბრა პროექტის კორდინატორმა მანანა კობიაშვილმა:

- თემა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ სამუშაოდ, ახალი არ არის. ეს პრობლება, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად გამოიკვეთა გენდერული თანასწორობის და ადამიანთა უფლებების დაცვის გააქტიურების ფონზე. ამ საკითხზე არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. ჩვენი მიზანია, საზოგადოების ფართო ფენებს გავაგებინოთ გენდერული სტერეოტიპების დაძლევის, არასრულწლოვანთა ქორწინების პრევენციის სტრატეგიის შესახებ. ჩვენ, კახეთის რეგიონის სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, აღნიშნულ თემაზე შევიმუშავეთ პროექტი და წარვადგინეთ „ქალთა ფონდი საქართველოში“, რომელმაც მოიწონა და დააფინანსა ეს პროექტი. პროექტი 5 თვეს მოიცავს. დაიწყო 1 მარტიდან და დამთავრდება 31 ივლისს. ჩვენ ჩავატარეთ წინასაპროექტო სამუშაოები მარტის თვეში და 30 მარტს დავიწყეთ მრგვალი მაგიდების მოწყობა. პირველი მრგვალი მაგიდა საგარეჯოში შედგა. დღეს დედოფლისწყაროში ვართ, საერთოდ კი კახეთის რეგიონის შვიდ მუნიციპალიტეტს მოვიცავთ. მოვამზადებთ 3 გადაცემას გურჯაანის ტელევიზიისათვის, სადაც მივიწვევთ ექიმ-რეპროდუქტოლოგ-გინეკოლოგებს, იურისტებს, ფსიქოლოგებს, რომლებიც მაყურებლებს ამ კუთხით განუმარტავენ მათი უფლებების შესახებ და იმის შესახებ, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ნაადრევ ქორწინებას. სასწავლო წლის დამთავრებამდე შევალთ სკოლებში და ანალოგიურ საუბრებს ჩავატარებთ მოსწავლეებთან. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ასეთი საუბრები დაგეგმილია ხორნაბუჯის, საბათლოს, სამთაწყაროს და ფიროსმანის საჯარო სკოლებში. არ გამოვრიცხავთ, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, სხვა სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრაც, თუნდაც საერთო საჯარო ლექციის ფორმატით. პროექტი ითვალისწინებს, აგრეთვე, მოსახლეობასთან შეხვედრებსაც, კონკრეტულად იმ მშობლებთან და ახლობლებთან გასაუბრებას, რომლებსაც ჰყავთ 14-18 წლის არასრულწლოვანები. გამოვაცხადებთ კონკურსს მოსწავლეებს შორის პოსტერების შექმნის თაობაზე, სადაც აღბეჭდილი იქნება ის უარყოფითი შედეგები, რაც მოსდევს ნაადრევ ქორწინებას, I, II, III ადგილზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან, ხოლო პოსტერები დაიბეჭდება და რეგიონის მასშტაბით განთავსდება. ინდივიდუალურად შევხვდებით მუშაობის პროცესში გამოვლენილ მსგავსი პრობლემების მქონე მოზარდებს, მათ მშობლებს და ახლობლებს. ივლისის ბოლოს ჩატარდება პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია რეგიონის ფარგლებში, სადაც ვისაუბრებთ ჩატარებულ კონკრეტულ სამუშაოზე და მიღწეულ შედეგებზე. დღეს კი, ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა გამოვთქვათ ჩვენი აზრი არასრულწლოვანთა ქორწინებაზე, მის პრევენციასა და მოსალოდნელ შედეგებზე და შევიმუშაოთ მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

გოგონათა უფლებებსა და ქორწინების სამართლებრივ რეგულაციებზე იურისტმა თამარ ფურცელაძემ ისაუბრა. მან განმარტა, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, თვად განსაზღვროს თავისი მომავალი, აირჩიოს პარტნიორი და დაგეგმოს საკუთარი ცხოვრება. საქართველოს სამოქლაქო კოდექსის 16 წლამდე ბავშვთან ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 9 წლამდე. ამავე ვადით ისჯება მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით 16 წელს მიუღწეველ მოზარდთან. სამწუხაროდ, სამართლებრივად არ არის კანონი, რომელიც დაარეგულირებს იძულებით ქორწინებას, ასეთი კანონის შემთხვევაში იკლებდა არასრულწლოვანთა ქორწინებები. მაგალითად, გასულ საუკუნეში ძალიან ხშირი იყო ქალის მოტაცება. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ქმედება სისხლის სამართლის ქმედებად იქნა აღიარებული, ამგვარმა ქმედებებმა იკლო. მაგრამ, ვიდრე კანონი წაგვეშველება, ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ და დავიცვათ მოზარდები ნაადრევი ქორწინებიდან და ბავშვობის ნაადრევად წართმევიდან-თქვა თავის გამოსვლაში თამარ ფურცელაძემ.

არასრულწლოვანთა ქორწინებისას გოგონათა ჯანმრთელობის კუთხით გამოწვეულ საფრთხეებზე ექიმმა-გინეკოლოგმა ნათელა თამაზაშვილმა ისაუბრა: – მინდა გავაფრთხილო გოგონებიც და მათი მშობლებიც, რომ არასრულწლოვანის თანახმად ქორწინების ასაკი არის 18 წელი, ასევე არის გამონაკლისი – კანონი უფლებას რთავს 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს, დაქორწინდეს მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით. თანხმობაზე მშობლების ან მზრუნველის მიერ უარის თქმის ან თანხმობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში ნებართვის გაცემა შეუძლია სასამართლოს. საგულისახმოა, რომ არასრულწლოვანთა ქორწინება იწვევს მათი უფლებების დარღვევას, კერძოდ, განათლების და აღზრდის უფლების შეზღუდვას. ადრეული ქორწინების რაოდენობის მიხედვით საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მეორე ადგილს იკავებს. ნაადრევი ქორწინების მიზეზით 2011 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში 7.367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება. კახეთში მათი რიცხვი 697-ია. მართალია, საქართველოს ადმისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლით მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლის მოვალეობათა შეუსრულებლობა მათ 100-დან 300 ლარამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს, ხოლო 1 წელიწადში განმეორების შემთხვევაში 500 ლარიან ჯარიმას, პრაქტიკულად ეს სანქცია თითქმის არ გამოიყენება.

სქესობრივი კავშირი 16 წლამდე ბავშვთან ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 9 წლამდე. ამავე ვადით ისჯება მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით 16 წელს მიუღწეველ მოზარდთან. სამწუხაროდ, სამართლებრივად არ არის კანონი, რომელიც დაარეგულირებს იძულებით ქორწინებას, ასეთი კანონის შემთხვევაში იკლებდა არასრულწლოვანთა ქორწინებები. მაგალითად, გამოწვეულმა საბათლოს სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორმა ნელი საბიაშვილმა, პედაგოგებმა ჟანა ბაბაიანმა და მარიკა პოპიაშვილმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ მათი სკოლები, ძირითადად, დაკომპლექტებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით, ამიტომ მათთან მუშაობა უფრო რთულია.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს პედაგოგებმა: ნელი შოშიაშვილმა, მაყვალა მაძღარაშვილმა, ნინო ცქიტიშვილმა, არასამთავრობო ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა: ეთერ ფიცხელაურმა და მანანა ყატაშვილმა, სტატისტიკის კოორდინატორმა ლუიზა ნასყიდაშვილმა. გამომსვლელები შეჯერდნენ, რომ ეთნიკური უმცირესობების თემებში არასრულწლოვანთა ქორწინების პრევენციის მიზნით საჭიროა ერთობლივი მუშაობა და ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მრგვალი მაგიდის მონაწილეები, აღიარებენ, რომ არასრულწლოვანთა იძულებითი ქორწინებების, მოტაცებების შედეგად გოგონები განიცდიან ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. იზიარებენ ჯანდაცვის საერთაშორისო ასამბლეის აღიარებას, რომ ბავშვთა ქორწინება წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას, აცნობიერებენ, რომ არასრულწლოვანთა ქორწინება უარყოფითად მოქმედებს გოგონათა ჯანმრთელობაზე. ადრეულ ასაკში მშობიარობა საფრთხეს უქმნის როგორც დედებს, ასევე ჩვილებს. ირღვევა ბავშვის სოციალური, სულიერი, მორალური კეთილდღეობის, განათლების უფლება, ზოგადად ქალის- ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. თვლიან, რომ დაეხმარებიან კახეთის რეგიონის განსხვავებული რელიგიის და ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობას გენდერული სტერეოტიპების მიმართ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და მათ დაძლევაში. ხელს შეუწყობენ გოგონათა მოქალაქეობრივი კულტურის განვითარებას.

დაეხმარებიან მოსახლეობას, გააცნობიერონ გოგონათა რეპროდუქციული და სექსუალური უფლებები, წინ აღუდგებიან ადრეულ ქორწინებას. დაეხმარებიან არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციას პროექტით გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანიის წარმართვაში.

ნაირა გორაშვილი

აღდგომა და ქართული ტრადიციები

აღდგომა დიდ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთია, რომელსაც საქართველო და სრულიად საქრისტიანო განსაკუთრებულად ზეიმობს. გავრცელებული წარმოდგენით სწორედ მაცხოვრის აღდგომის ღამეს იერუსალიმის წმინდა მიწაზე ცხოველმყოფელი ცეცხლის გარდამოსვლაზეა დამოკიდებული კაცობრიობის ბედი. წარმოდგენის მიხედვით თუ ცეცხლი სამ წლის განმავლობაში არ გადმოვიდა, მეორედ მოსვლა გარდაუვალია.

აღდგომას საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულად ზეიმობდნენ. სამზადისს აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებენ. დიასახლისები სააღდგომო პასქებს აცხობენ, რაც გოლგოთის მთის სიმბოლოა, მთის, სადაც მაცხოვარი ჯვარზე პარასკევ დღეს აცვეს. სწორედ პარასკევ დღეს იღებება კვერცხები წითლად, რაც ასევე მაცხოვრის ჯვარცმის სიმბოლოა.

გადმოცემით, წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიართვა. ტიბერიუსმა უპასუხა, მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეცვალა. მას შემდეგ მორწმუნე ქრისტიანებში კვერცხის შელებვა ტრადიციად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფხვნილი არსებობს, კვერცხის შელებვის ყველაზე ნაცად და გამართლებულ საშუალებად, დღემდე ენდრო და ხახვის ფურცელი რჩება. გარდა იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთაა, ენდრო კვერცხს განსაკუთრებულ გემოს და არომატსაც ანიჭებს.

რაც შეეხება სააღდგომო ტრადიციებს, იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირია.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს სამეგრელოში. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელს სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ, მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დაალაგებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს "გიორგონთობას" ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ — ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ.

და ბოლოს, აღდგომამდე რამდენიმე დღეღა დარჩა, ქრისტიანული სამყარო კი მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გარდამოსვლას მოუთმენლად ელის.

ხ ს ო ვ ნ ა

ილიკო შარვაძე

ჩემო ილიკო, უკვე მესამედ მოვიდა გაზაფხულიც და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიც. ორივეს ერთად გილოცავ, შვილო. მგონია, რომ გაზაფხულთან ერთად მოხვალ, რადგან ბუნებაში უკვალოდ არაფერი ქრება, მაგრამ მე როგორ მოგეფერო, როგორ ჩაგიკრა გულში და გითხრა, რომ ძალიან მენატრები.

ყოველ აღდგომას მამას საფლავზე მიდიოდი და იქედან მირეკავდი- დეე, მე აქ ვარო... ვაი, რომ ახლა აღარ გჭირდება ამის შეტყობინება, რადგან ისედაც ვიცი, რომ მამა-შვილი ერთად ხართ და ერთად აღნიშნავთ ამ დღესასწაულს.

იმედი მაქვს, ეს პატარა საღდგომო შეხმიანება თქვენამდეც მოაღწევს, რა დროც არ უნდა გავიდეს, ჩემთვის დრო მკურნალი არასდროს იქნება, ჩემო მოურჩენელო ტკივილო, ჩემო ილიკო. საშინელ სიცარიელეში ვარ შენს გარეშე, თითქოს ყოველდღე გელოდები, მგონია, უნდა გამოჩნდე, გამიღიმო და შემომანათო შენი ლამაზი, ცისფერი თვალები, არ მინდა დავრწმუნდე მწარე რეალობაში, ჩემო დედისერთა ბიჭო.

შენ ლამაზი იყავი არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაგანი სულიერი სამყაროთი, პიროვნული ღირსებებით, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი გქონდა-არ იცოდი საკუთარი თავის ფასი და ვაი, რომ სწორედ ეს გახდა შენი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლის მიზეზი.

ჩემო ტკბილო, ჩემო უიღბლო ბიჭო, ჩვენ ხომ უდიდეს ტკივილს ვატარებდით მამაშენის უდროოდ დაკარგვის გამო, ნუთუ ეს არ იყო საკმარისი?-ალბათ ეგ იყო ორივეს ბედისწერა.

შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი აუხდენელი ოცნება. შენ ჩემი ოჯახის ფესვი იყავი, შენი წასვლით საძირკველი გამოეცალა ჩემს ოჯახს. ერთ დროს ბედნიერ ოჯახში სევდამ და მწუხარებამ დაისადგურა. ბედნიერია ის დედა, ვინც ისე დატოვა ეს ქვეყანა, შვილის სიკვდილი რომ არ ნახა, ძნელია მოლოდინი ერთად-ერთი შვილისა.

უშენობა მძიმე სასჯელია ჩემთვის, ნათელში იყავი შენს საყვარელ მამასთან, ბებიებთან და ბაბუებთან.

სიკვდილმა წამართვა შენი თავი, მაგრამ ასე ამბობენ, სიკვდილი ეს არის კარი მარადისობისკენო, სადაც გზას გაგინათებს ჩემი დანთებული სანთლები. ცხოვრება წუთისოფელი კი არა, წამისოფელი ყოფილა, უკან არავინ დაბრუნებულა, მაგრამ სიკვდილის ჯინაზე, შენს უბედურ დედას მუდამ ცოცხლად ყავხარ გულში, ჩემო ილიკო.

გული შენთან მოლოდინში დაიღალა, შვილო, ლოდინი ხომ იმედია მარადიულ შეხვედრამდე.

შენი მონატრებული დედა
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

ვლადიმერ გოგოჭური



მეექვსე თვე დაიწყო, შენ რომ დაგვტოვე და ზეციურ სამარადისო სასუფეველში გადაინაცვლე. ხანგრძლივი ავადმყოფობით დაღლილმა შენმა სულმა და სხეულმა დაისვენა. ჩვენ კი დარდი და მონატრების დიდი განცდა დაგვიტოვე. ძალიან გვენატრები შენს და-ძმას, შენს მეუღლეს, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს, ყოფილ კოლეგებს, რომლებთან ერთადაც ათეული წლები გალიე შრომაში.

წელიწადის ყველა დრო გიყვარდა, მაგრამ გაზაფხულს მაინც სულ სხვაგვარად ელოდი. გიხაროდა შენი დაბადების დღე- 5აპრილი. ახლაც მოვიდა შენი პირველი დაბადების დღე უშენოდ. ძალიან გვაკლიხარ და გვტკივა უშენობა, მაგრამ მაინც თავს მოვიყრით შენს ცივ სამარესთან, დაგინთებთ სანთლებს, მოგიგონებთ, ჭიქა ღვინოს თავს წავუქცევთ და უფალს შევავედრებთ შენს სულს, რათა განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.დაბადების დღეს და დამდეგ აღდგომას გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო!

მეუღლე ნათელა ფიცხელაური, **ძმა** – შოთა, **და** - ეთერი და დისშვილები.

ზინა ფიროსმანაშვილ-გულაშვილი!

ჩვენო ტკბილო დედა, ჩვენო საყვარელო, 2015 წლის აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულში გისრულდება ცხრა წელი, რაც დატოვე შენი ოჯახი, შენი საფიცარი შვილები და იმყოფები წმინდა სასუფეველში. გაუსაძლისია უშენოდ ცხოვრება.

დედა, შენს თავს ვფიცავართ, არასოდეს მოგაკლებთ წმინდა სანთელ-საკმეველს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სათნო და ჩვენთვის სათაყვანო სული.

შენი შვილები:
ლეილა, მზია და ჰამლეტ გულაშვილები.

გივი და რამაზ ოზაშვილები



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო, გივი და რამაზ!

უკვე მესამე აღდგომაა, შვილო, შენ რომ ვერ ესწრები. თქვენ მე ისეთი დიდი ტკივილი მომაყენეთ, ისე ნაადრევად დამტოვეთ, რომ ჩემთვის აღარც გაზაფხულის სილამაზეა და აღარც ცხოვრების.

ცხოვრება მიდის, მიფრინავს დრო, ჩემთვის კი ყველაფერი დამთავრდა, დრო ერთ ადგილას გაიყინა. რაც დრო გადის, უფრო მეტად მეძალება ტკივილი და მონატრება.

მენატრები, შვილო! ან როგორ ვუძლებ უშენობას? როგორ მინდა შენი გულში ჩახუტება, მოფერება, მაგრამ სურათებისა და შენი საფლავის გარდა სხვა არაფერი დამრჩა. როგორ არ ვგიჟდები, როგორ ვიტანო ამ ჩემს გაუსაძლის ტკივილს.თავს მაქსიმალურად ვიტვირთავ, რომ გამოვერთო ამ მტანჯველი ფიქრებიდან, თორემ მართლა გავგიჟდები!

რა დაუნდობელი ყოფილა ეს ცხოვრება, ამას როგორ მოვიფიქრებდი, რომ ჩემი საყვარელი, თბილი, ალალი და მოსიყვარულე ბიჭი ასე უდროოდ და მოულოდნელად გამომეცლებოდა ხელიდან.

ღმერთო, მაკმარე და მომეცი ძალა, რომ ჩემს ქმარ-შვილს ლოცვა და სანთელი არ მოვაკლო.

უფალო, ზეციური სასუფეველი დაუმკვიდრე ჩემს ქმარ-შვილს. მშვიდად განისვენეთ, ჩემო ძვირფასებო, იქ სადაც მართალნი განისვენებენ!

შენი გამწარებული დედა ნანა, **და** ხათუნა **და** ყველა ახლოგელი

დედოფლისწყაროს კულტურის განყოფილების ყოფილი გამგე ნელი გობეჯიშვილი, ბუღალტერიის თანამშრომლები: ლამარა გომელაური, ნანა ნანობაშვილი, მარინე მოლაშვილი, ენდი კიკილაშვილი, მარინე ჯამასპიშვილი, ლია ძირკველიშვილი, დალი გონაშვილი იუწყებიან თანამშრომელ

კლარა მაზიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ოზაანის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თამარ თევზაძეს დის

ზინას

გარდაცვალების გამო.

„ხშირად ადამიანები არიან ჩემი შთაგონების წყარო“...

(მეორე გვერდიდან)

რამ შეიძლება გახდეს. ხშირად ადამიანები ხდებიან ჩემი შთაგონების მიზეზი. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, ადამიანს რომ დავინახავ, მინდა დავხატო. რაც უფრო დიდ დროს ვუთმობ ერთი ნახატის შექმნას, უფრო კარგი გამომდის. მაგრამ ხშირად ვჩქარობ. არ ვიცი, ასე რატომ ხდება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მინდა სწრაფად დავასრულო ნამუშევარი. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სათქმელი მაქვს და მინდა ეს ყველაფერი ტილოზე გადავიტანო და ასე ვთქვა. ვერ ამიხსნია, ასე რატომ ხდება. ამ მხრივ გამუდმებით ჩემს თავს ვადანაშაულებ, რომ თითოეულ ნამუშევარს მეტ დროს არ ვუთმობ. საშუალოდ ერთ თვეზე მეტს არ ვუთმობ ნახატს.

- დაახლოებით რამდენი ნამუშევარი დაგიგროვდა?

- ამ ეტაპზე ჩემთან 40-ზე მეტი ნამუშევარი ინახება. ალბათ 80-ზე მეტი ნახატი გაჩუქებულია და სხვებთან ინახება... თუ ადამიანში ვხედავ, რომ ნახატი ძალიან უნდა, სიამოვნებით გავაჩუქებ და მთელი გულით დავუთმობ. მაგრამ, არის შემთხვევები, მხოლოდ ოთახის გასალამაზებლად სჭირდებათ და მეკითხებიან რამდენად გავყიდი. ასეთ დროს ვერ დავთმობ ნამუშევარს.

- რამდენჯერ გქონდა გამოფენა?

- ეს მეოთხე გამოფენა ჩატარდა. პირველი გამოფენა ფიროსმანის მუზეუმში მქონდა. სიმბოლური იყო, თუმცა სასიამოვნო დამთხვევა. ჩემი მეგობრის დედის ძალისხმევით ჩატარდა. ის მიიჩნევდა, რომ ჩემი ნამუშევრები აუცილებად უნდა გამოფენილიყო და დღის სინათლეზე გამომეტანა. რომ არა მისი მოწადინება, მე ნამდვილად არ ვაპირებდი ნამუშევრების გამოფენას. შემდეგ ირაკლი შიოლაშვილის გვერდში დგომით ჩემი შემოქმედება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც გამოიფინა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გვერდში დგომისთვის. მისგან მუდმივად დიდ თანადგომას ვგრძნობ. ამ გამოფენაზეც თითქმის ყველა სოფლიდან ჩამოვიდნენ და ძალიან კმაყოფილი ვიყავი. უფრო მიხარია, როცა ჩემს რაიონში ვაკეთებ გამოფენას და ჩემს სოფელშიც განსაკუთრებით ელოდებიან და სულ მეკითხებიან, როდის ჩატარდება.

- ალბათ, იგივეა გკითხო, რომელი შვილი უფრო გიყვარს, მაგრამ თუ გაქვს რომელიმე განსაკუთრებით საყვარელი ნამუშევარი?

- ვერცერთს ვერ გამოვარჩევ, მაგრამ რომ გადავხედო, მამა გაბრიელის და მამა გიორგის ნახატია ჩემთვის ყველაზე საყვარელი ნამუშევრები.

- განსაკუთრებით რელიგიური თემატიკა ჭარბობს, რითია ეს გამოწვეული?

- ძალიან თავისუფლად ვგრძნობ თავს, როდესაც რელიგიურ თემატიკას ვეხები. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული სიფაქიზით მიდგომას საჭიროებს, და ასეც არის... ყოველთვის ვცდილობ, რომ ფრთხილად მივუდგე და რაიმე ისეთი არ დავაშავო... ძალიან ჩახედული უნდა იყო, როცა რელიგიურ თემაზე ხატავ. მაგრამ, გულწრფელად ვამბობ, როდესაც ამ თემაზე ვხატავ, გაცილებით გახსნილი ვარ და თავს კარგად ვგრძნობ. არ ვიცი, რატომ ვირჩევ ხშირად ამ თემატიკას, ალბათ სულში მაქვს. თუ სხვა თემაზე ხატვისას ნამუშევარის დასრულებას ვჩქარობ, ერთი სული მაქვს დროულად მოვრჩე, ამ შემთხვევაში შემიძლია უსასრულოდ გავაგრძელო მუშაობა და დროში არ შევიზღუდო.

- სამომავლო გეგმებზე გვიამბე...

- უახლოეს მომავალში კიდევ ერთ გამოფენას ვგეგმავ. ცხადია, კვლავაც ვაპირებ აქტიურად ვხატო...

- ხატწერაზე რა აზრის ხარ, არ გიფიქრია?

- სურვილი ნამდვილად მაქვს. მაგრამ, ხატწერას ცოტა სხვა თვალით ვუყურებ. წარმოუდგენელია ჩემთვის ხატებს წერდე და შემდეგ შარვალი ჩაიცვა, ამიტომ ალბათ, თუ ამას ხელს მოვკიდებ, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლება...

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ვიოლეტა ნატროშვილს!

ჩვენო ძვირფასო კოლეგა, ჩვენო ვიოლეტა, უდიდესი პატივისცემით გვინდა მოგილოცოთ მორიგი დაბადების დღე. შენ ხომ ჩვენი კოლექტივის ძირითადი მამოძრავებელი ღერძი ხარ, ასაკი არაფერს გაკლებს, მიუხედავად დატვირთული დღის რეჟიმისა, კვლავ ახალგაზრდული და ომახიანი ხარ. ისევ შენ ხარ ყველაფრის მოთავე და ხალისის შემომტანი. გვინდა მუდამ გვეგულებოდე გახარებული შენს ძმისშვილებში და ძმისშვილიშვილებში. შენ უსათნოესი გული გაქვს, რომელიც მუდამ უხვად გასცემს სითბოს, სიყვარულს და სიკეთეს. დღეგრძელი იყავ. ღმერთი გფარავდეს და გაძლიერებდეს.

სოფელ ზემო მაჩხაანის ამბულატორიის თანამშრომლები

ვიოლეტა ნატროშვილს!

ვიოლეტა ექიმო, 4 აპრილს თქვენი დაბადების დღეა და ეს თარიღი მუდამ მახსენებს თქვენს თავს. უამრავი ლამაზი წელი აკავშირებს შენთან ოზაანის ამბულატორიის კოლექტივს, დედას და ამ კოლექტივის ნაწილი მეც ვიყავ მე ხომ იქ, თქვენს თვალწინ ვიზრდებოდი. უამრავი ლამაზი დღე თუ დღესასწაული მახსენდება ჩემი ბავშვობიდან, რომელიც თქვენ გიკავშირდებათ, რამდენჯერ გინუგეშებივართ, რამდენჯერ მიგიწვევივართ შეხვედრებზე,ღონისძიებებზე, რომ მე კარგ ახალგაზრდად ჩამოვყალიბებულიყავი. მახსენდება ილია მეორის ჩამოსვლა, როცა თავგადაკლულმა იბრძოლეთ, ტრანსპორტი იშოვეთ და მაინც აგვაყოლე ილია მეორის ექსკორტს.მაშინ პატრიარქთან ერთად მოგვატარეთ სამრეკლოში მდებარე სერაფიმე საროველის ტაძარი, მაჩხაანის არმათიონი და ოზაანის ამაღლება. მახსენდება ამაღლებობის დღეები, როდესაც ყველაფერს ცდილობდი არ გამოეტოვებინა ის დღესასწაული თქვენს სამსახურს და ადიოდით ტაძარში მოსალოცად. თქვენ ჩემი ბავშვობის მოგონებების ნაწილი ხართ, ვიოლეტა ექიმო და უზომოდ მიყვარხართ. ნათელი წერტილი, რომელიც ყველანაირად იზიარებდით ჩვენს სიხარულს თუ გასაჭირს. ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, მე ასეთი შეგნებული, ასეთი გაგებული და ურთიერთგამტანი ოჯახი, როგორიც თქვენ გაქვთ, არსად მინახავს! თქვენ იყავით არა მარტო ექიმი და ხელმძღვანელი, არამედ თითოეული ოჯახის, თითოეული თანამშრომლის ოჯახის ნაწილი, მე ვიცი, რომ ბევრჯერ მიგიტანიათ გულთან და დახმარებიხართ თანამშრომლებს, უბრალო მაცხოვრებლებს. ღვთის წყალობა არ მოაკლდეს თქვენ დიდ ოჯახს, ვიოლეტა ექიმო.

პატივისცემით
ლალი მეხრიშვილი

თამილა ჯავაშვილს!

მჩქეფარე ენერგიის, პატრონს მუდამ ხალისიანს, დაუდგრომელს, სათნოებითა და სიკეთით დამშვენებულს, მეგობრობაში შეუდარებელს, რომელმაც კარგად იცის სიტყვის ფასი და მადლი, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას შენს დიდ ოჯახთან ერთად.

კვლავაც მრავალი წელი გაგვეტარებინოს ერთად ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების საკეთებლად.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები

ნაირა გორაშვილს!

არაჩვეულებრივი მიგნებაა დაარსებულიყო პრესტიჟული ნომინაცია „საუკუნის ლეგენდა“. გილოცავთ აღნიშნულ ნომინაციაში გამარჯვებას. თქვენ, მართლაც, საუკუნის ლეგენდა ბრძანდებით და ასეთად დარჩებით, როგორც საუკეთესო შემოქმედი და ჟურნალისტი.

გვეამაყებით! როგორც ჩვენი სოფელის – გამარჯვების ერთ-ერთი საუკეთესო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებული და საუკუნის ლეგენდად აღიარებული ქალბატონი!

თქვენი უმცროსი მეგობრები
ციცო ფიროსმანაშვილი,
ნელი სულაშვილი.

ია მუჯირიშვილს!
ზურა ნასრაშვილს!

სიხარულით და სიყვარულით გილოცავთ ნანატრი ვაჟიშვილის პატარა საბას დაბადებას.

ახლადდაბადებულს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას და კარგ მომავალს.

ნანი ბაღაშვილი,
სოფელი ზემო მაჩხაანი.

თეონა თითილოკაშვილს!

ჩემო საყვარელო ნათლია, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თქვენს მეუღლესთან და ორ ვაჟიშვილთან ერთად. ღმერთი გფარავდეთ. მიყვარხართ.

თქვენი ნათლული ნიკა ჭუჭულაშვილი.

ქირავდება!

ქირავდება ერთოთახიანი გარემონტებული ბინა ქალაქ თბილისში, საბურთალოზე, ნუცუბიძის და ასათინის ქუჩის კუთხეში, რვასართულიანი სახლის მე-7 სართულზე. ფასი 250 დოლარი. დარეკეთ

☎ 599 17 20 29. იკითხეთ მზია.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 06.04	სამშაბათი 07.04	ოთხშაბათი 08.04	ხუთშაბათი 09.04	პარასკევი 10.04	შაბათი 11.04	კვირა 12.04
დღე	6 °	11 °	16 °	15 °	9 °	6 °	7 °
ღამე	5 °	10 °	13 °	11 °	6 °	5 °	5 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K